MES 0 22 0001148043

23/09/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 09.09.2022
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ.
სხდომის დასრულების დრო: 17:30 სთ.
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:
1.გოდერძი ბუჩაშვილი - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2.ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3.ირინა გველესიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
4.ხათუნა თოდაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი;
5.მაკა კაჭარავა - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
6.ლევან მოსახლიშვილი - სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის" დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში;
7.ანზორ ბერიძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში;
8.თეა მჭედლური - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
9.ეკატერინე ნაცვლიშვილი - შპს „ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
10.თამარ სირაძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;

11.დავით ტეფნაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);
12.ეკატერინე შაკიაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
13.ერეკლე ასტახიშვილი - შპს "თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის" პროფესორი, სსიპ - შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე;
14.ნინო ჭალაგანიძე - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
15. გურანდა ჭელიძე - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	თამთა ანთაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	ანი ბილანიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	ანი ჯუღელი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ნათია მიქელთაძე	შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
2	გიორგი გაბედავა		პროგრამის ხელმძღვანელი	I
3	ემზარ ჯგერენაია	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	II
4	ნინო რჩეულიშვილი		ასისტენტ-პროფესორი	II
5	ნინო ჟვანია		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II; III
6	ნინო მატარაძე			II; III

			ასოცირებული პროფესორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი	
9	მაკა ლაშხია		ასოცირებული პროფესორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**II; III**
10	ნანი მანველიშვილი		მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი	**II**
11	სალომე გავაშელიშვილი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი	**III**
12	სოფიკო ზვიადაძე		ასოცირებული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	**III**
13	მალხაზ სონღულაშვილი		პროფესორი	**III**
14	თამარ გრძელიძე		ასოცირებული პროფესორი	**III**
15	ნუგზარ სხირტლაძე	შპს კავკასიის უნივერსიტეტი	ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში	**IV, V, VII, VIII**
16	დიანა მჭედლიშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი	**IV, V, VII, VIII**
17	დავით ნატროშვილი		ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანი	**IV, V, VII, VIII**
18	მაია მაჭავარიანი-წერეთელი	შპს კავკასიის უნივერსიტეტი	ფსიქოლოგიის პროგრამის აკადემიური ხელმძღვანელი	**IV, V, VII, VIII**
19	იოსებ ბერიკაშვილი		ეკონომიკის სკოლის დეკანი და ეკონომიკის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების თანახელმძღვანელი	**IV, V, VII, VIII**
20	მარიამ ხარაიშვილი		ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის თანახელმძღვანელი	**IV, V, VII, VIII**
21	ვანო ბენიძე			**IV, V, VII, VIII**

			საბაკალავრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი	
22	თეა კორძაძე	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**IX, X**
23	პაატა გერაძე		საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**IX**
24	ომარი ზივზივაძე		პროგრამის ხელმძღვანელი	**IX**
25	ირინე ფხაკაძე		მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი	**X**

აკრედიტაციის ექსპერტები

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაციაელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ**	**საკითხი**
1	შოთა კუნჭულია	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	დავით გეგეჭკორი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
3	თინათინ ქაროსანიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
4	თამთა ცხოვრებაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II; III
5	ჯოვანა აბოლთია	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	ეკატერინე ფირცხალავა	(ჩაერთო „ზუმით“)	III
7	ცოტნე ჩხეიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
8	ნინო პატარაია	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
9	ლილი ხეჩუაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V
10	ეკა გეგეშიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VI; VII; VIII
11	ია ნაცვლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	VI; VII; VIII
12	შალვა კვირკველია	(ჩაერთო „ზუმით“)	IX
13	თამარ გოდერიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	X

აკრედიტაციის დებულების 272-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 272-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 275-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კონფლიქტოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "სოციოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.
3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის “რელიგიის კვლევების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.
4. შპს კავკასიის უნივერსიტეტის ,,ეკონომიკის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.
5. შპს კავკასიის უნივერსიტეტის ,,ეკონომიკის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.
6. შპს კავკასიის უნივერსიტეტის ,,ეკონომიკის” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.
7. შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
8. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ელექტრული ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
9. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთასაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
10. შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის "საზღვაო მეცნიერების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- დიახ

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის "საზღვაო მეცნიერების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კონფლიქტოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "სოციოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.
4. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის “რელიგიის კვლევების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.
5. შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
6. შპს კავკასიის უნივერსიტეტის ,,ეკონომიკის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

7. შპს კავკასიის უნივერსიტეტის ,,ეკონომიკის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.
8. შპს კავკასიის უნივერსიტეტის ,,ეკონომიკის” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.
9. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ელექტრული ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
10. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთასაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

1. პირველი საკითხი: შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის "საზღვაო მეცნიერების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საზღვაო მეცნიერები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო 22.06.2021. გადაწყვეტილება №514478
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
8	კვალიფიკაციის დასახელება	საზღვაოსნო მეცნიერების ბაკალავრი
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	1041 - ტრანსპორტის მომსახურებები
10	სწავლების ენა	ინგლისური
11	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
12	განხორციელების ადგილი	საქართველო, 6000, ბათუმი, თამარ მეფის გამზირი №38

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა შოთა კუნჭულიამ განაცხადა, რომ მან შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში. პროგრამასთან მიმართებით გაცემული იყო რიგი რეკომენდაციები, რომლებიც ეხებოდა პროგრამაში შემდეგი დისციპლინების დამატებას „გემების შეჯახების თავიდან აცილების საერთაშორისო წესები-1972(COLREG-72)“, „ვექტორული ელექტრონული რუკების ინფორმაციული სისტემა (ECDIS)“, ასევე „გემის დატვირთვის დაგეგმარება (Stowage Plan), გემის მდგრადობის საკითხებთან ერთობლიობაში“, რომელსაც ითხოვს საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის კონვენცია, რომელიც აუილებელია რომ იყოს სასწავლო პროგრამაში. დაწესებულებიბს წარმომადგენლებმა გაითვალისწინებს გაცემული რეკომენდაცია. წარმოდგენილი ანგარიშით დასტურდება, რომ ის საგნები ნამდვილად ასახულია პროგრამაში განსხვავებული სათაურებით, თუმცა შინაარსით შესაბამისობაშია. საგნები მოიცავს ისეთ თემებრ, როგორიცაა „ელექტრონული რუკები'' , ''შეჯახების თავიდან აცილების წესები''. გემის დატვირთვის დაგეგმარების (Stowage Plan) გარკვეული მნიშვნელოვანი ნაწილებს, რომელსაც ითხოვს კონვენცია. პროგრამასთან მიმართებით წარმოდგენილი ანგარიშის შემოწმების შედეგად დადგინა, რომ პროგრამაში ასახულია ყველა თემა. აგრეთვე უნივერსიტეტმა გაითვალისწინა ტრენაჟო სწავლებაში შეყვანილი პრაქტიკული თემები, განაახლეს სერთიფიცირების კაბინეტი და გაზარდეს მსმენელთა რაოდენობა, რაც პასუხობს მათ მოთხოვნებს. ასევე აღნიშნა, რომ პროგრამა ჯერ არ არის პრაქტიკაში განხორციელებული და რიგი საკითხები მისთვის მისაღები და გასათვალისწინებელია. ის რომ არ არის საბაკალავრო ნაშრომი ეს გასაგებია, რადგან პროგრამის პრაქტიკაში განხორციელების შემდეგ ყველა რეკომენდაცია იქნება სრულად გათვალისწინებული .
საბჭოს თავმჯდომარე, გოდერძი ბუჩაშვილი დაინტერესდა თუ საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობასთან დაკავშირებით, თუ რატომ ელოდება დაწესებულება სტუდენტების ჩარიცხვას და მანამდე რატომ არ შეიძლება შესრულდეს ის რეკომენდაციები, რომელთა შესახებაც საბჭომ ისაუბრა.
პროგრამის თანახელმძღვანელი, გიორგი გაბედავა მიესალმა საბჭოს წევრებს და დამსწრე პირებს. მისი განმარტებით, გაცემული იყო რეკომენდაცია, რომ „საბაკალავრო ნაშრომის“ წინაპირობად დამატებით განისაზღვროს სასწავლო კურსი „წერითი და ზეპირი კომუნიკაციები“, აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით პროგრამის თანახელმძღვანელმა აღნიშნა, რომ როდესაც მათ დასკვნის შემდეგ მოამზადეს პირველი ანგარიში, დართული ჰქონდათ პროგრამის მთლიანი კურიკულუმი და ყველა სასწავლო კურსის სილაბუსი. მათ შეუძლიათ ყველა პროგრამის სილაბუსი გადაამოწმონ პირველად გაგზავნილ ანგარიშზე თანდართულ დანართში. აღნიშნა, რომ ეს რეკომენდაცია გათვალისწინებული იყო უბრალოდ შეიძლება ტექნიკური ხარვეზი იყო დანართთან დაკავშირებით. ასევე განმარტა, რომ როდესაც მათ მიიღეს საბოლოო დასკვნა და ინფორმაცია ამ კონკრეტული რეკომენდაციის შესახებ, სადაც აღნიშნული იყო რომ რეკომენდაცია შესრულებული არ არის, ამის პასუხად დაწესებულებამ 20 აგვისტოს გამოგზავნა

ახსნა-განმარტების წერილი თანდართული პროგრამის კურიკულუმით და სილაბუსით, რაც იმას ნიშნავს რომ დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაცია გაითვალისწინა და შეასრულა კიდეც.
პროგრამის თანახელმძღვანელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და საბჭოს წევრებს კონსტრუქციული მუშაობისთვის და აღნიშნა, რომ დაელოდება გადაწყვეტილების მიღებას.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
დაწყების დრო : 14.12 სთ
დასრულების დრო : 14:15 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა : შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის "საზღვაო მეცნიერების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე წარმოდგენილი ანგარიშების ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის "საზღვაო მეცნიერების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

2. მეორე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კონფლიქტოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კონფლიქტოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ავტორიზებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	11/11/2011; No289
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	კონფლიქტოლოგიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ინტერდისციპლინური -სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა, ინფორმაციის მართვა -0388
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120

14	განხორციელების ადგილი	ჭავჭავაძის გამზ. No1, თბილისი, 0179, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

თვითაცილება განაცხადა ნინო ჭალაგანიძემ
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, დავით გეგეჭკორი მიესალმა საბჭოს წევრებს და დამსწრე პირებს. მან წარადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა - თინათინ ფაროსანიძე, თამთა ცხოვრებაძე და ჯოვანა აბოლთია. ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 22 აგვისტოს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ვიზიტი განხორციელდა განსაზღვრული დღის წესრიგის მიხედვით, კონსტრუქციულ და კოლეგიალურ გარემოში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:
1. რეკომენდებულია „სამაგისტრო კვლევის დიზაინი“ გადავიდეს არჩევითი კურსებიდან სავალდებულო კურსებში.
2. რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში: “კონფლიქტოლოგია“, „კონფლიქტის გლობალური კონტექსტი“, „მშვიდობის მშენებლობა“, „კონფლიქტები ცივი ომის და მის შემდგომ პერიოდში“ ლიტერატურის განახლება და გამრავალფეროვნება ისე, რომ სავალდებულო სასწავლო მასალა არ მეორდებოდეს ამ კურსებში.
3. რეკომენდებულია სასწავლო კურსის „საქართველოს საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა“ სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურის სიიდან იმ მასალის ამოღება, რომელიც არ წარმოადგენს აკადემიურ კვლევას და მისი ჩანაცვლება აკადემიური ნაშრომებით; ასევე მიზანშეწონილია „საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის სტრატეგია“ სილაბუსში ლიტერატურის განახლება უახლესი გამოცემებით.
4. რეკომენდებულია სასწავლო კურსების ინგლისური ენა (ზოგადი კურსი) და დარგობრივი ინგლისური ენა სილაბუსების მოდიფიცირება და სწავლის მიზნების და შედეგების გაწერა, ასევე ლიტერატურის განახლება შესაბამისი შედეგების მიხედვით და სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის გამოყოფა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა ირმა გრძელიძემ განმარტა, რომ განსახილველი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა წლების მანძილზე

ფუნქციონირებს უნივერსიტეტში. პროგრამა გამოირჩევა მაღალი ინტერნაციონალიზმის ხარისხით, რადგან მოცემული პროგრამა თავის დროზე შეიქმნა უცხოელ კოლეგებთან თანამშრომლობით. ასევე აღნიშნა, რომ გუნდის დიდი დამსახურებაა გარკვეული ცვლილებების განხორციელება კვალიფიკაციათა ჩარჩოში, ამისთვის გუნდმა დიდი შრომა გასწია და პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად პროგრამა ჩამოყალიბდა იმ სახით, რომელიც მათ აკრედიტაციის მინიჭების მიზნით წარმოადგინეს. მან მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და საბჭოს წევრებს ამ პროგრამის ასეთი ფორმით წარმოდგენისთვის.
პროგრამის ხელმძღვანელი, გუგული მაღრაძე მისალმა საბჭოს წევრებს და დამსწრე პირებს. მან მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის და აღნიშნა, რომ განსახილველი პროგრამა საკმაოდ აქტუალურია. მათ ყოველწლიურად ჰყავთ 15-20 კურსდამთავრებული, აქვთ დასაქმების მაღალი კოეფიციენტი, რომლებიც აღნიშნავენ, რომ სწორედ ეს არის ის პროგრამა, რომელიც კონფლიქტოლოგიაში ანიჭებს ხარისხს. მან ასევე განმარტა, რომ პროგრამასთან მიმართებით კმაყოფილებას გამოთქვამენ, როგორც სტუდენტები, ასევე დამსაქმებლები.
პროგრამის ხელმძღვანელმა, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ისინი სრულად გაითვალისწინებენ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაცია და არჩევითი დისციპლინა „სამაგისტრო კვლევის დიზაინი“ არჩევითი კურსებიდან გადავა სავალდებულო კურსებში. აღნიშნული დისციპლინა არჩევით კურსებში იყო გაწერილი, რადგან ბაკალავრის საფეხურზე სტუდენტები სწავლობენ „აკადემიურ წერას“, თუმცა ისინი ითვალისწინებენ გაცემულ რეკომენდაციას და „სამაგისტრო კვლევის დიზაინი“ გახდება სავალდებულო კურსი.
მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით (რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში: “კონფლიქტოლოგია“, „კონფლიქტის გლობალური კონტექსტი“, „მშვიდობის მშენებლობა“, „კონფლიქტები ცივი ომის და მის შემდგომ პერიოდში“ ლიტერატურის განახლება და გამრავალფეროვნება ისე, რომ სავალდებულო სასწავლო მასალა არ მეორდებოდეს ამ კურსებში.) აღნიშნა, რომ იგი ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფს, რომ გარკვეული ლიტერატურა გამოყენებულია სამივე საგანში და მისი განმარტებით ეს გამოწვეულია იმით რომ ეს სამივე წიგნი გამოცემულია ქართულ ენაზე, როგორც სახელმძღვანელო ტიპის წიგნები. ასევე აღნიშნა, რომ როდესაც საუბრობენ მაგალითად, მშვიდობის მშენებლობაზე ან როცა მათ საუბარი სურთ მშვიდობის სტრუქტურაზე, მოცემული სახელმძღვანელოებიდან უთითებენ ერთ-ერთი კონკრეტულ თავს. ასევე მოიყვანა მაგალითი, რომ კონფლიქტის გლობალურ კონტექსტში სჭირდებათ გენდერზე საუბარი, გენდერი კი არის ერთ-ერთი კომპონენტი გლობალური კონტექსტის. სწორედ ამიტომ უთითებენ ერთი და იგივე სახელმძღვანელოს და მაგრამ გვერდები რა თქმა უნდა სხვადასხვაა. ასევე დაამატა, რომ ასე დარჩება მანამ სანამ არ ექნებათ სრულყოფილი სახელმძღვანელოები. მისი განმარტებით, უფრო მეტად ქრესტომათიული ლიტერატურა აქვთ დამატებული, როგორც სავალდებულო ლიტერატურა. მაგრამ როდესაც სემინარი ან პრეზენტაციაა უთითებენ უახლეს ლიტერატურას, გარდა ამისა სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა თავად მოიძიონ ინფომრაცია.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ მესამე რეკომენდაციასთან (რეკომენდებულია სასწავლო კურსის „საქართველოს საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა“ სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურის სიიდან იმ მასალის ამოღება, რომელიც არ წარმოადგენს აკადემიურ კვლევას და მისი ჩანაცვლება აკადემიური ნაშრომებით; ასევე მიზანშეწონილია „საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის სტრატეგია“ სილაბუსში ლიტერატურის განახლება უახლესი გამოცემებით.) დაკავშირებით, პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ საგანში ‘’საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა“ - დიდი მნიშვნელობა აქვს „ფოლისი ფეიფერს‘’ ისეთ კვლევებს რომელიც არ არის აკადემიური მაგრამ, დაკავშირებულია პოლიტიკასთან და მიმდინარე პროცესებთან, ამიტომ საჭიროა ამ ტიპის ლიტერატურაც რომ იყოს დასახელებული .
მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით (რეკომენდებულია სასწავლო კურსების ინგლისური ენა (ზოგადი კურსი) და დარგობრივი ინგლისური ენა სილაბუსების

მოდიფიცირება და სწავლის მიზნების და შედეგების გაწერა, ასევე ლიტერატურის განახლება შესაბამისი შედეგების მიხედვით და სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის გამოყოფა.) კი აღნიშნა, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია.
პროგრამის ხელმძღვანელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ მათი მიერ გაცემული რჩევებით/რეკომენდაციებით პროგრამა კიდევ უფრო უკეთესი იქნება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრი, მაკა კაჭარავა მიესალმა სხდომაზე დამსწრე პირებს. მან აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ დარგის სპეციალისტი არ არის დეტალურად გაეცნო განსახილველი პროგრამის მასალებს. იგი დაეთანხმა დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, რომ ძალიან კარგად არის წარმოდგენილი პროგრამაში ინტერნაციონალიზაციის საკითხი. ასევე აღნიშნა, რომ ერთ-ერთი დოკუმენტით წარმოდგენილია პროგრამის შეფასება ადგილობრივი (გარე) ექსპერტის მიერ. მის მიერ გაცემული რეკომენდაცია კი ეხებოდა პროგრამაში ინგლისურენოვანი საგნების დამატებას და დაინტერესდა კონკრეტულად თუ რას გეგმავდა ინსტიტუცია მომავალში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ადგილობრივ რესურს გამოიყენებს თუ დაგეგმილია პროგრამაში უცხოელი პროფესორის ჩართვა.
პროგრამის ხელმძღვანელმა, გუგული მაღრაძემ აღნიშნა, რომ ისინი ცდილობენ პროგრამის განხორციელებაში ყოველ წელს ჰყავდეთ უცხოელი მოწვეული პროფესორები. მათი მოწვევა ხორციელდება სხვადასხვა გზებით, ნაწილს თვითონ იწვევენ, ნაწილი კი სხვადასხვა პროგრამის მონაწილეა . ასევე, აღნიშნა რომ წინა წელს ჰყავდათ ერთ-ერთი ცნობილი სპეციალისტი სუზანა ნელ-ნელი მშვიდობის მშენებლობაში, რომელიც კითხულობდა საკმაოდ საინტერესო არჩევით კურსს. აქვე დაამატა, რომ მათ 2018 წელს გამოცემული აქვთ ერთობლივი წიგნი. გარდა ამისა, აქვთ კარგი მექანიზმი, როგორიცაა საზაფხულო სკოლა სან-დიეგოს უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის, „რეგიონალური კონფლიქტები და მშვიდობა“ ასეთი სათაურით, რომელსაც პანდემიამ შეუშალა ხელი. სან-დიეგოს უნივერსიტეტიდან ყოველ წელს 20-25 სტუდენტი ჩამოდის და მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აქ მიღებული კრედიტები მათ უკვე ჩვეულებრივ ეთვლებათ გავლილ კრედიტებად. აქ კი ჰყავთ ადგილობრივი პროფესორები, რომლებიც ინგლისურ ენაზე კითხულობენ ლექციებს, ისეთ თემებზე როგორიცაა რეგიონალურ კონფლიქტები, ეკონომიკა რეგიონში, ნავთობ კონფლიქტებთან დაკავშირებული კონფლიქტები და ა.შ. ასევე აღნიშნა, რომ მათი მიზანია დაინტერესებული სტუდენტები მიაჩვიონ ლექციების ინგლისურ ენაზე მოსმენას. თებერვლიდან ასევე გეგმავენ ერთი უცხოელი პროფესორის მოწვევას, რომელიც წაიკითხავს ლექციებს მედიაციის საკითხებთან დაკავშირებით.
საბჭოს წევრი, გურანდა ჭელიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოება და ღრმა პატივისცემა გამოხატა მათ მიმართ . მან დასვა ორი დამაზუსტებელი შეკითხვა .
პირველი კითხვა ეხებოდა პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობას. იგი გაეცნო როგორც პროგრამის თვითშეფასებას ასევე ექსპერტების დასკვნას და სამივე დოკუმენტში ამოიკითხა ერთმანეთისგან განსხვავებული ინფორმაცია. კონკრეტულად პროგრამაზე მიღების წინაპირობა არის ერთიანი ეროვნული გამოცდების გარდა წერითი გამოცდა სპეციალობაში, გასაუბრება სპეციალობაში, გასაუბრება უცხო ენაში. მისაღები გამოცდის ფორმატი და ქულების გამოყვანის წესი სამ კომპონენტად არის ჩაშლილი, თუმცა თვითშეფასებაში საუბარია წერითი გამოცდის და გასაუბრების შესახებ უცხო ენასა და სპეციალობაში, აქვე ფრჩხილებში არის განმარტებული დარგობრივი უცხო ენის შესახებ ცოდნის შემოწმება. დასკვნაში კი მხოლოდ წერითი გამოცდა და გასაუბრებაა უცხო ენაში. საბჭოს წევრი დაინტერესდა არის თუ არა ცალ-ცალკე სპეციალობაში გამოცდა და შესაბამისად ზეპირი გასაუბრება, თუ არის სთხოვა დაეზუსტებინათ თუ რა განსხვავებაა ზეპირ კომუნიკაციასა და წერით გამოცდას შორის .
მეორე კითხვა კი ეხებოდა ინგლისურენოვან ლიტერატურას, რომელთან მიმართებითაც 1.5 სტანდარტში აღნიშნავენ, რომ ლიტერატურა მეტად ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე და ამიტომაც არის აუცილებელი დარგობრივი ენის ცოდნა. ინგლისურენოვანი ლიტერატურა,

რომელიც არის მითითებული სილაბუსებში, ეს არის 15-20 წლის წინანდელი, რეალურად კი დარგს აქვს უახლესი ლიტერატურა რომელსაც იყენებენ. აქედან გამომდინარე გაჩნდა კითხვა, ხომ არ აჯობებდა ეს ყველაფერი ასახულიო სილაბუსებში.

პროგრამის ხელმძღვანელმა, გუგული მაღრაძემ განმარტა, რომ პროგრამის დაშვების წინაპირობებში აქვთ გამოცდა, რომელსაც ატარებენ საგამოცდო ცენტრში. გამოცდებამდე კი ვებგვერდზე წინასწარ აქვთ მითითებული ლიტერატურა, სტუდენტს შეუძლია მივიდეს ბიბლიოთეკაში და მოამზადოს მასალა. ასევე ისაუბრა გამოცდის ფორმატზე. გამოცდაზე აქვთ ბილეთი, ბილეთში არის 4 საკითხი - თითოეული 25 ქულით ფასდება. ბარიერის გადასალახად საჭიროა 51 ქულა. მეორე ეტაპი არის გასაუბრება, სადაც მათ აინტერესებთ სტუდენტების მოტივაცია თუ რატომ აირჩიეს კონკრეტული პროგრამა. ასევე გასაუბრებაზე დგინდება ინგლისურის როგორი დონე აქვს სტუდენტს, რადგან არსებობს ზღვარი რომლის გადალახვაც სავალდებულოა. მეორე კითხვასთან დაკავშირებით კი აღნიშნა, რომ მათ დამხმარე ლიტერატურად მითითებული აქვთ უახლესი წიგნები. სილაბუსებში კი აქცენტს აკეთებენ ძირითად ლიტერატურაზე .

საბჭოს თავმჯდომარე, გოდერძი ბუჩაიშვილი დაინტერესდა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, სადაც საუბარი იყო რაოდენობრივ და თვისობრივი კვლევის მეთოდებზე. მან აღნიშნა, რომ პროგრამაში კვლევასთან დაკავშირებით წარმოდგენილია კურსები სავალდებულო სტატუსით და რამდენად არის საჭირო „სამაგისტრო კვლევის დიზაინისთვის“ სავალდებულო სტატუსის მინიჭება. უკეთესი ხომ არ იქნება, სტუდენტს თავად განესაზღვრა შესაბამისი ცოდნის საჭიროება და თვითონ აირჩიოს შესაბამისი საგანი .

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დავით გეგეჭკორმა აღნიშნა, რომ საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები მონაწილეობას იღებდნენ პლაგიატის Erasmus+ პროექტში და ამ პროექტის შესაბამისად შესყიდული იქნა პლაგიატის პროგრამები და გაცემული იქნა რეკომენდაციები. მისი განმარტებით მოხდა რამდენიმე სილაბუსის მოდიფიცირება, ბაკალავრიატის დონეზე ეს იყო აკადემიური წერა, მაგისტრატურის და დოქტორანტურის საფეხურზე კი სამეცნიერო წერა. ვინაიდან ამ პროექტში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, აღნიშნული რეკომენდაციაც სწორედ აქედან გამომდინარეობდა. ევროპელი ექსპერტების ერთ-ერთი მთავრი მოთხოვნა იყო სწავლის სამივე საფეხურზე მოხდეს კვლევის დიზაინის სამეცნიერო წერის ფორმულირება და სწორედ აქედან გამომდინარე გაიცა რეკომენდაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ.

საბჭოს წევრი, ეკა ნაცვლიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტებს აქვს წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი და დაინტერესდა ხელმძღვანელის ფუნქცია და სხვა აქტივობა ხომ არ არის პლაგიატზე ყურადღება გაამახვილებინოს, ამისთვის რამდენად სარეკომენდაციო საკითხია კვლევის მეთოდების სავალდებულო საგნად გადატანა. ეს საკითხი ხომ შეიძლება დაიფაროს უნივერსიტეტის მხრიდან სხვა სილაბუსებითაც და სხვა აქტივობებით.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ირმა გრძელიძე დაეთანხმა საბჭოს წევრებს და განმარტა, რომ კვლევასთან დაკავშირებული თემები თავად პროგრამაში კარგად არის დაფარული. სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ყველაფრის მიღება სტუდენტებთან დამატებით ტარდება სხვადასხვა აქტივობები, რომლებიც მათ შესაბამის კომპეტენციებს უმაღლებს. მისი განმარტებით გაცემული რეკომენდაცია უფრო რჩევის ხასიათის არის, რადგან არსებულ პროგრამაში იმ რესურსების გათვალისწინებით რაც მათ უნივერსიტეტში გააჩნიათ სტუდენტი იღებს შესაბამის მხარდაჭერას .

დაწესებულების წარმომადგენელი, თეონა მატარაძე მიესალმა ექსპერტებს და საბჭოს წევრებს. მან ისაუბრა კვლევის დიზაინთან დაკავშირებით, ხაზი გაუსვა ორ სავალდებულო კურსს, რომელებიც პროგრამაში არის წარმოდგენილი. ეს იყო თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები და აღნიშნა, რომ თითოეული კურსის ფარგლებში სტუდენტი აკეთებს კვლევას და ყველა ის აქტივობა, რაც დიზაინში არის მოცემული იფარება. სტუდენტი თავიდან

ირჩევს თემას, ქმნის დიზაინის პირველ ეტაპზე თვისობრივი კვლევისთვის, მეორე ეტაპზე რაოდენობრივი კვლევისთვის, რასაც აუცილებლად ანგარიშით ასრულებს. ასევე აღნიშნა, რომ თუ სტუდენტს აქვს სურვილი დეტალურად გაიაროს თავის სამაგისტრო ნაშრომთან მორგებული არჩევითი კურსი ისინი სწორედ ამის შესაძლებლობას აძლევენ. აქედან გამომდინარე, იგი თვლის რომ აღნიშნული კურსი სავალდებულო საგანში არ უნდა იყოს. რადგან ის სტრუქტურასაც ცვლის, კერძოდ სავალდებულო და არჩევითი კრედიტების მოცულობას.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა სათათბირო შესვენება.
დაწყების დრო 14:38 სთ
დასრულების დრო 14:48

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

- აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ 1.4 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, რის შედეგადაც პირველი სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა : სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კონფლიქტოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 2028 წლის 31 დეკემბრამდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კონფლიქტოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 2028 წლის 31 დეკემბრამდე.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი
რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში: “კონფლიქტოლოგია“, „კონფლიქტის გლობალური კონტექსტი“, „მშვიდობის მშენებლობა“, „კონფლიქტები ცივი ომის და მის შემდგომ პერიოდში“ ლიტერატურის განახლება და გამრავალფეროვნება ისე, რომ სავალდებულო სასწავლო მასალა არ მეორდებოდეს ამ კურსებში.
2. რეკომენდებულია სასწავლო კურსის „საქართველოს საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა“ სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურის სიიდან იმ მასალის ამოღება, რომელიც არ წარმოადგენს აკადემიურ კვლევას და მისი ჩანაცვლება აკადემიური ნაშრომებით; ასევე მიზანშეწონილია „საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის სტრატეგია“ სილაბუსში ლიტერატურის განახლება უახლესი გამოცემებით.
3. რეკომენდებულია სასწავლო კურსების ინგლისური ენა (ზოგადი კურსი) და დარგობრივი ინგლისური ენა სილაბუსების მოდიფიცირება და სწავლის მიზნების და შედეგების გაწერა, ასევე ლიტერატურის განახლება შესაბამისი შედეგების მიხედვით და სავალდებულო დამხმარე ლიტერატურის გამოყოფა.

რჩევები:

1. სასურველია, „სამაგისტრო კვლევის დიზაინი“ გადავიდეს არჩევითი კურსებიდან სავალდებულო კურსებში.
2. პროგრამის ინტერდისციპლინურობიდან (სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა, ინფორმაციის მართვა) გამომდინარე, პროგრამის სტრუქტურაში შესაბამისი სფერო ძირითადი სასწავლო კომპონენტებით უფრო იყოს გაძლიერებული.
3. არჩევით სასწავლო კურსში „დასავლეთის და აღმოსავლეთის ცივილიზაციები“ დამხმარე ლიტერატურას დაემატოს ინგლისურენოვანი მასალა.
4. სასწავლო კურსში „საერთაშორისო კონფლიქტები“ სავალდებულო ლიტერატურა უფრო მრავალფეროვანი გახდეს და სწავლის შედეგების შესაბამისად გაიწეროს წასაკითხი მასალის ოდენობა.
5. სასწავლო კურსებში ინგლისური ენა (ზოგადი) და დარგობრივი ინგლისური ენა ლიტერატურა იყოს ენის მატარებელი ავტორების ნაშრომების სახით წარმოდგენილი.
6. სასურველია პროგრამა გაძლიერდეს დარგის პერსონალით.

3.მესამე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "სოციოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სოციოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2011 წლის 30 სექტემბრის N93 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სოციოლოგიის დოქტორი
10		-

	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0314 Sociology and Cultural Studies/სოციოლოგია და კულტურის კვლევები/
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	ქაქუცა ჩოლოყაშვილის გამზირი 3/5 თბილისი 0162, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება

- არა

საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯომარე, თამთა ცხოვრებაძე მიესალმა საბჭოს წევრებს და დამსწრე პირებს. მან განმარტა, რომ პროგრამის მიმართ განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა „სოციოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა. არაგეგმიური მონიტორინგის შედეგად დადგინა, რომ პროგრამის სახელწოდება შესაბამისობაშია პროგრამის მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან, ასევე შეესაბამება შინაარს და სტანდარტის მოთხოვნებს. აქედან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფს მიერ გაცემულია მხოლოდ ერთი რეკომენდაცია, რომელიც ეხება სწავლის შედეგების ფორმულირებას. კერძოდ, რეკომენდაცია მდგომარეობს შემდგომში: „სილაბუსებში სწავლის შედეგები ფორმულირდეს აწმყო დროში და აქტიური ზმნების გამოყენებით“.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებას დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნონო ჟვანიამ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს შეფასებისთვის და საბჭოს განხილვისთვის და აღნიშნა, რომ კითხვების შემთხვევაში დაწესებულების წარმომადგენლები მზად არის გასცეს პასუხები.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა სათათბირო შესვენება .
დაწყების დრო 14:51 სთ
დასრულების დრო : 14:56 სთ

აკრედიტაციისსაბჭოსმიერსაგანმანათლებლოპროგრამისშეფასებადაკენჭისყრა:

- აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "სოციოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება. მიჩნეულ იქნეს, რომ “სოციოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

4. მეოთხე საკითხი : სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის “რელიგიის კვლევების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	რელიგიის კვლევები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება N7 26/07/2016
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	

		რელიგიის კვლევების მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0221 - რელიგია და თეოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, 0162, ქ. ჩოლოყაშვილის გამზირი
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება

- არა

საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ცოტნე ჩხეიძე მიესალმა საბჭოს წევრებს და დამსწრე პირებს. მან აღნიშნა, რომ 2022 წლის 9 ივნისს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს განსახილველად გადაეცა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "რელიგიის კვლევების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა რათა დადგენილიყო აღნიშნული პროგრამის შესაბამისობა საქართველოს განათლების მეცნიერების კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილისN69/ნ დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" დაკავშირებით. მან განმარტა, რომ აღნიშნულმა პროგრამამ აკრედიტაცია მიიღო 2016 წელს 7 წლის ვადით. წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა 2 წელი და მისი უმთავრესი მიზანია მოამზადოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტი რელიგიის კვლევების დარგში. ექსპერტის განმარტებით პროგრამამ განიცადა გარკვეული სახის ცვლილება, რასთან დაკავშირებითაც არსებითი ყურადღება გაამახვილეს ექსპერტებმა. ეს იყო კვალიფიკაციის კოდის ცვლილება, რის

შედეგადაც პროგრამის მიზნები უფრო მეტად დაკონკრეტდა და გამოიკვეთა მისი ძირითადი ფოკუსი. ასევე, ჩამოყალიბდა სწავლის შედეგები უფრო მეტად გამსხვილებული სახით და კრედიტების რაოდენობა 30-დან 36-მდე გაიზარდა. ამასთანავე, პროგრამას დაემატა ერთი საგანი - ექსპედიციაში მონაწილეობა, რაც მისასალმებელი ფაქტია. ასევე აღნიშნა, რომ დიდი ყურადღება მიიქცია მესამე შედეგმა, მიუხედავად იმისა რომ ნათლად არის გადმოცემული და შეიძლება გარკვეული შემთხვევებში მისი მიღწევა, მაგრამ რადგან პროგრამაში არ არის ენის შემსწავლელი კურსები, სადაც გულისხმობენ ორიგინალ ტექსტებს, მათ ხაზგასმა აქვთ საკრალურ ტექსტებზე, ბიბლიასთან და ყურანის ორიგინალ ტექსტებთან მუშაობის შესაძლებლობა რომ მისცენ სტუდენტებს ამისთვის არ აქვთ შესაბამისი კურსები. თუმცა შედეგში ნათქვამია, რომ სტუდენტს შეეძლება აღნიშნულ ტექსტებთან მუშაობა, მათი კრიტიკული ანალიზი და ინტერპრეტაცია. აღნიშნული საკითხი ექსპერტებმა ეჭვქვეშ დააყენეს, რადგან ენობრივი კომპეტენციები მათ არ ექნებათ, ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე. აქვე დაამატა, რომ თუ სტუდენტმა ენა არ იცის და ვერ შეძლებს ორდინარებთან მუშაობას, შეუძლებელია შეასრულოს სამეცნიერო ნაშრომი ტექსტობრივ სფეროში, რადგან ვერ შეძლებს ორიგინალების კვლევას. აქედან გამომდინარე ექსპერტმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციის ერთი ნაწილი მოიცავდა დაკონკრეტებულიყო რა ტექსტების ანალიზს მოახდენდა სტუდენტი და რა ტიპის ტექსტების ინტერპრეტაციას მოახდენდა, რადგან ეს ვერ იქნებოდა ორიგინალი ტექსტები. მეორე ნაწილი კი მოიცავდა არის თუ არა ინტერპრეტაციის საჭიროება სამაგისტრო საფეხურზე. ექსპერტების აზრით, სჯობდა სადოქტორო დონეზე, სადაც უფრო მეტი ცოდნა ექნებოდა სტუდენტს იქ გადაეტანათ ინტერპრეტაციის საკითხი. ხოლო იმ შემთხვევაში თუ მაინც დატოვებდნენ სამაგისტრო საფეხურზე, მაშინ უმჯობესია გაეცეს კითხვას პასუხი, ამგვარ ინტერპრეტაციას და ანალიზს რა წვლილის შეტანა შეუძლია სფეროს და საზოგადების განვითარებაში. გარდა ამისა, პროგრამის თანმიმდევრულობისა და ლოგიკურობას ის ფაქტი უფრო გამოკვეთდა, რომ სილაბუსებში წინაპირობები ყოფილიყო მითითებული. მან აღნიშნა, რომ არცერთ სილაბუსში არ იყო მითითებული წინაპირობა, რამაც ექსპერტებში გაკვირვება გამოიწვია. აქვე დაამატა, რომ ერთ-ერთი გაუგებარი ფაქტი იყო ის რომ სოციალური კვლევის მეთოდების საგანი, შეცვალეს რელიგიის კურსის მეთოდებით, აღნიშნული კურსი კი აღმოჩნდა დაუსრულებელი სახის. როდესაც აღნიშნულთან დაკავშირებით რეკომენდაცია გასცეს ექსპერტებმა, არგუმენტირებულ პოზიციაში პასუხად მიიღეს, რომ პროგრამას დაემატა სოციალური კვლევების კურსი და რელიგიის კვლევების კურსთან დაკავშირებით არაფერი იყო ნათქვამი. მათთვის გაუგებარია მაშინ ანგარიში რატომ ოყო აღნიშნული, რომ გარკვეული მსჯელობის შედეგი იყო კურსების შეცვლა/დამატება. ასევე შენიშვნა ჰქონდათ ერთ-ერთი პროფესორის კომპეტენციასთან დაკავშირებით, რომლის კონკურსით მიღების შესაბამისი დოკუმენტაცია და მტკიცებულება, რომ იგი პროფესიული ნიშნით არის მიღებული არ ჰქონდათ, ვინაიდან მას არ ჰქონდა თეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხი. ხოლო არგუმენტირებულ პოზიციაში ნათქვამი იყო, რომ მისი მიღება მოხდა პროფესიული ნიშნით, მაგრამ შესაბამისი მტკიცებულებები არ იყო წარმოდგენილი. აქვე დაამატა, რომ არ იყო წარმოდგენილი შესაბამისი მტკიცებულებები, რომ ჯგუფს გადამზადების მიზნით ჩაუტარდა კონსულტაციები და ტრენინგები. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ გარკვეული რეკომენდაციები გაითვალისწინა, რაც მისასალმებელია .

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა წარმოედინათ საკუთარი მოსაზრებები .

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ნინო ჟვანია მიესალმა საბჭოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას, მან მადლობა გადაუხადა ექსპერტებს მათი დასკვნისთვის და შეფასებისთვის. მისი განმარტებით, როგორც ექსპერტმა აღნიშნა მათ რამდენიმე რეკომენდაცია გაითვალისწინეს და არგუმენტირებულ პასუხთან ერთად გააგზავნეს შესაბამისი დოკუმენტები. რაც შეეხებოდა იმ რეკომენდაციებს, რომლებზეც დაიტოვეს უფლება დაწესებულების წარმომადგენლობა, რომ არ დათანხმებულიყვნენ, მათ საკუთარი პოზიცია

გააჩნიათ რასაც აუცილებლად დააფიქსირებდნენ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სწავლის შედეგთან დაკავშირებით მისი კოლეგა მალხაზ სონღულაშვილი ისაუბრებს .
დაწესებულების წარმომადგენლმა, მალხაზ სონღულაშვილმა აღნიშნა, რომ ის პასუხს გასცემს კითხვას, რომელიც ორიგინალი ენების დანიშნულებას ეხებოდა კვლევის პროცესში. მისი განმარტებით კრიტიკული კვლევა, რელიგიური კვლევის ფარგლებში გულისხმობს სამეცნიერო კვლევას, ხოლო სამეცნიერო კვლევა, როდესაც საუბარია თორაზე, თანახზე ებრაული ტრადიციიდან, ქრისტიანული ტრადიციიდან ახალ აღქმაზე, ხოლო ისლამური ტრადიციიდან ყურანზე - არ გულისხმობს ორიგინალი ტექსტების ცოდნას მაშინ, როდესაც მათ საქმე აქვთ რელიგიის კვლევებთან. როდესაც მათ საუბარი აქვთ წმინდა წყლის თეოლოგიასთან ან ეგზეგეტიკასთან, რა თქმა უნდა დასკვნა არის სწორი, რადგან უაღრესად მნიშვნელოვანია ამ ენების ცოდნა. იმ შემთხვევაში როდესაც რელიგიური კვლევების სტუდენტი სურვილს გამოთქვამს ამა თუ იმ ტექსტის უფრო ღრმად შესწავლასთან დაკავშირებით, დაწესებულება მათ აძლევს ინსტრუმენტს, რომელიც კარგად არის ჩამოყალიბებული, რაც ეხმარება სტუდენტს მოახდინოს კვლევა ტექსტისა იმ შემთხვევაშიც კი თუ მას არ აქვს სავალდებულო ან ღრმა ჩვევები ლინგვისტური ტექსტების გაგებისა. ასეთ შემთხვევაში მას ეხმარება ხელმძღვანელი, რომელიც კურს უძღვება. ეს ინსტრუმენტი კი უკვე ელექტრონულად ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. მისი განმარტებით, დაწესებულებას, რომ ჰქონდეს იმის ფუფუნება სტუდენტები, რომლებიც მოდიან უნივერსიტეტში რომ ფლობდნენ ორიგინალურ ენებს, ებრაულს, ბერძნულს, არაბულს ან ლათინურს ეს ძალიან კარგი იქნებოდა. მაგრამ ისიც მისასალმებელია, რომ სტუდენტებს წვდომა აქვთ მშობლიურის გარდა სხვა ენებზეც.
რასთან დაკავშირებითაც აძლევენ რეკომენდაციას, რომ იკითხონ ტექსტის შინაარსი კვლევის პროცესში და ის თარგმანები ორიგინალური კვლევებიდან, რომლებიც აკადემიური ფასეულობით სარგებლობენ. აღნიშნულთან დაკავშირებით განაცხადა, რომ როდესაც საუბარია ბიბლიაზე ურჩევენ იკითხონ სხვადასხვა თარგმანი, მაგრამ როდესაც კვლევაზე მიდის საქმე ურჩევენ იკითხონ აკადემიური გამოცემა. როდესაც ყურანზეა საუბარი ურჩევენ ოქსფორდის და კემბრიჯის მიერ გამოცემული ტექსტებით ისარგებლონ, ასევე ინტერლირიანებით, რომელიც სტუდენტს ხელს უწყობს ენის არცოდნის შემთხვევაში ჰქონდეს წარმოდგენა ტექსტში მიმდინარე გრამატიკულ პროცესებზე. მან აღნიშნა, რომ რა თქმა უნდა რელიგიის კვლევები არ გულისხმობს, რომ სტუდენტს ჰქონდეს ლინგვისტური ფილოლოგიური კვლევის უნარები და შესაბამისად აქცენტირება ხდება შინაარსზე, რომლის მიღწევაც შესაძლებელია კარგი თარგმანის გამოყენებით .
დაწესებულების წარმომადგენელი, სოფო ზვიადაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, მან მადლობა გადაუხადა ექსპერტებს შემუშავებული დასკვნისთვის, რომელიც მათთვის იყო სარგებლიანი, რადგან გარკვეული საკითხები უკეთ ჩამოაყალიბეს და განსაზღვრეს. ასევე, გაიზიარეს გარკვეული რეკომენდაციები. რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა სილაბუსებში წინაპირობების არ არსებობას, აღნიშნა რომ ეს შემთხვევითი არ იყო, რადგანაც რელიგიის კვლევების პროგრამა არის ინტერდისციპლინური, ის მოიაზრებს როგორც თეოლოგიის კურსებს, ასევე აერთიანებს რელიგიის სოციოლოგიას და რელიგიის ანთროპოლოგიას. თითოეული კურსი, რომლის ნახვაც კურიკულუმში შეიძლება არის ისეთი კურსები, რომლებიც ავსებს ერთმანეთს. აქედან გამომდინარე, კურსის ავტორებმა მიიჩნიეს, რომ არ იყო საჭიროება სხვა რომელიმე კურსი ყოფილიყო წინაპირობა რომელიმე კურსის წინაპირობა, რაც იმას ნიშნავს რომ ეს შემთხვევითი არ იყო. აქვე დაამატა, რომ მათ ამის გაზიარება შეეძლოთ, თუმცა გაზიარების შემთხვევაში ეს ხელოვნური იქნებოდა. ეს არის მოზაიკური კურსი, რომელიც ერთმანეთს ავსებს და ერთადერი წინაპირობა, რომელიც ამ პროგრამაში არსებობს ეს არის ერთგვარი თანმიმდევრობა სავალდებულო კურსების, სადაც მკაფიოდ არის განსაზღვრული თუ რომელ სემესტრში რომელ სავალდებულო კურს გაივლის სტუდენტი. ყველა სხვა დანარჩენი კურსისთვის კონცეპტუალურად აქვთ გააზრებული, რომ არ ჰქონდეს წინაპირობა.

მეთოდოლოგიის კურსთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ თავად იყვნენ პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართულნი და ამ პერიოდში გეგმავდნენ, რომ ყოფილიყო ცალკე კურსი - „მეთოდების კურსი რელიგიის კვლევებში“ და სწორედ ეს იყო ამ პროცესის ასახვა ამ დასკვნაში, მაგრამ სამუშაო ჯგუფის მუშაობის პროცესში გადაწყვიტეს, უფრო მეტი აქცენტი გაეკეთებინათ სოციალური კვლევის მეთოდებზე და ეს კურსი ყოფილიყო ცალკე, ხოლო ჰუმანიტარული კვლევის მეთოდების ინტეგრირება მოხდა ორ სავალდებულო კურსში, რადგან ისისნი ორგანულად ერწყმოდა იმ თემებს რომელსაც კურსი მოიცავდა. გარდა ამისა, მათ აქვთ დამატებით ახალი სავალდებულო კურსი „ექსპედიცია“, სადაც მოხდება ამ მეთოდების კვლევის გაძლიერება. სწორედ ამიტომ იყო ბუნდოვანი ეს ყველაფერი ექსპერტებისთვის, მაგრამ რეალურად ისინი ინარჩუნებენ მეთოდების მრავალფეროვნებას, რომელიც ასახულია ორ სავალდებულო კურსში.

დაწესებულების წარმომადგენელი, ნინო მატარაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა დასკვნისთვის. მან აღნიშნა, რომ კონკრეტულად ამ საკითხისთვის პროფესორი არჩეულია პროფესიული ნიშნით. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია, რაც მოთხოვნილი იყო ამ დასკვნის პროექტში, მათ შორის აკადემიური პერსონალის შერჩევის წესი, დიპლომი მითითებული პროფესორის. ასევე დაამატა რომ დამატებითი დოკუმენტაცია მოთხოვნილი არ ყოფილა, საჭიროების შემთხვევაში კი დაწესებულება აუცილებლად წარადგენდა. დამატებით აღნიშნა, რომ პროფესორის კონკურსის შედეგების დამტკიცების ბრძანებაში მითითებულია უმაღლესი განათლების კანონის შესაბამისი მუხლები, რომლებიც უშვებს პროფესიული ნიშნით აკადემიური პერსონალის შერჩევის შესაძლებლობას. ასევე დაწესებულებას აქვს აკადემიური პერსონალის არჩევის წესი, რომელიც უკვე წარმოადგინეს და მასში დეტალურად არის გაწერილი/განხილული პროფესიული ნიშნით ასოცირებული პროფესორის თუ ასისტენტ პროფესორის შერჩევის საკითი. აკადემიური საბჭო იმსჯელა ამ საკითხზე და შესაბამისად გადაწყვეტილება მიღებულ იქნა, რომ ამ პროფესორის კანდიდატურა სრულად აკმაყოფილებდა იმ მოთხოვნებს, რომლებიც ამ ნიშნის შერჩევის შემთხვევაში არის განსაზღვრული საქართველოს კანონმდებლობით. დაწესებულების წარმომადგენელმა დააზუსტა, რომ ანგარიშის წარმოდგენის დროს სხვა დოკუმენტები არ იყო მითითებული რომელიც დაწესებულებას უნდა წარედგინა, ხოლო როგროც კი მიიღეს მოთხოვნა ექსპერტებისაგან ეს დოკუმენტი დაწესებულებამ მაშინვე გააგზავნა.

დაწესებულების წარმომადგენელმა საკრალური ტექსტების შესწავლასთან დაკავშირებით ორიგინალური ენების ცოდნაზე დაამატა, რომ ეს პროგრამა არის სამაგისტრო საფეხურის და არა სადოქტორო და როგორც, უკვე აღნიშნეს დაწესებულებას არ აქვს იმის ფუფუნება, რომ სტუდენტი მივიდეს ფუნდამენტური ენების ბაზისური ცოდნით, ეს იქნება ლათინური, არაბული თუ ებრაული. ამიტომ ცხადია აღნიშნული საკითხი, რომ შეისწავლოს ეს ურთულესი ენები ორ წლიან კურსში, ვერ იქნება გათვალისწინებული. ასევე აღინიშნა თუ როგორ შეიძლება სტუდენტი ინტერპრეტაციას ორიგინალი ტექსტების გარეშე, ამ შემთხვევაში გააჩნია რა დონის ინტერპრეტაციაზეა საუბარი, როდესაც თავდ ტექსტის კვლევა ხდება, როგროც ამას მკვლევარები და დოქტორანტები აკეთებენ იქ აუცილებელია ამის ცოდნა. მაგისტრატურაში კი ამის საჭიროება არ არის, რადგან ეს არის ინტერდისციპლინარული მიმართულება.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ კითხვები.

საბჭოს წევრი, ეკა ნაცვლიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა კითხვით წინაპირობებთან დაკავშირებით, რომელმაც განმარტა თუ რატომ არ აქვს სასწავლო კურსებს წინაპირობა და აღნიშნა, რომ კურსები იმ ლოგიკით არის არჩეული რომ გარკვეული თვალთახედვით ავსებენ ერთმანეთს და პროგრამის ჯგუფმა ასე დაინახა.

ზოგადად სხვა დარგების გამოცდილებით, სასწავლო კურსებს წინაპირობები არ აქვთ იმ შემთხვევაში თუ ისინი ან ლოგიკურად დაშორებულები არიან ერთმანეთს და არ აქვთ

არანაირი კავშირი ან კურსი იწყებს და ასრულებს გარკვეული კომპეტენციის განვითარებას. ამ შემთხვევაში თუ კი სასწავლო კურსები ერთმანეთს უნდა ავსებდნენ და ერთი კურსი გაცნობაზე უნდა იყოს ორიენტირებული, მეორე გაღრმავებაზე, სხვა განმტკიცებაზე და ა.შ. ეს ლოგიკური ჯაჭვი რომ არ გაჩნდეს იქნებ საჭიროა წინაპირობები, რადგან იმ მოზაიკით შეიძლება სხვადასხვა სურათი მიიღონ, თუ მათ სხვადასხვანაირად განალაგებენ.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტა, რომ როდესაც იგი საუბრობდა, რომ ეს კურსები ავსებს ერთმანეთს ეს არ იყო მთავარი არგუმენტი, აქ იგულისხმებოდა მთლიანად პროგრამის შედეგად რა ცოდნას იღებს ამ შემთხვევაში. რაც შეეხება კურსებს, ამოსავალი სწორედ ეს არის, რომ თითოეული კურსი შედგენილია თავისი მიზნებით და შინაარსით, მაგალითად რელიგიის ანთროპოლოგია, რომელიც არის მხოლოდ რელიგიის ანთროპოლოგია და ის ვერ იქნება წინაპირობა რელიგიის ფსიქოლოგიის, ამიტომ ამ კურსში იწყება ერთგვარი ქვედარგის გაცნობა. აქედან გამომდინარე, კურსები ვერ იქნება ერთმანეთის წინაპირობა, მაგრამ მთლიანობაში ავსებენ დარგს.

საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ სამაგისტრო საფეხური გულისხმობს ცოდნის გაღრმავებას და აქედან გამომდინარე დაინტერესდა თუ რომელი კურსები აღრმავებს ცოდნას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეს არის სავალდებულო კურსები. როდესაც არის სავალდებულო კურსი რელიგიის კვლევების თეორიები, სადაც სტუდენტი პირველივე სემესტრში ეცნობა ძირითად თეორიებს, აქ არის სწორედ თანმიმდევრობა, რაც შეიძლება არ იყოს ასახული სილაბუსში ეს არის მისი წინაპირობა რომ ის მეორე სემესტრში გაივლის უფრო გაღრმავებულად რელიგიის კვლევებს, თანამედროვე თეორიებს და კვლევებს, მაშინ როდესაც ის პირველს სემესტრში ფუნდამენტურ თეორიებს ეცნობა. რაც იმას ნიშნავს, რომ სილაბუსში ასახული არ არის, მაგრამ ლოგიკურად ასე არის მოაზრებული .

საბჭოს წევრი მაკა კაჭარავა მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და დაწესებულების წარმომადგენელებს სთხოვა დეტალური ინფორმაცია მოეწოდებინათ პერსონალთან დაკავშირებით, რომელიც აკადემიური ნიშნით იქნა შერჩეული. მისი აზრით პერსონალს არ აქვს ხარისხი თეოლოგიის მიმართულებით და აქვს მხოლოდ პრაქტიკული გამოცდილება. ამასთანავე საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რომელ დარგობრივ საგნებზე ჰყავს არჩეული პერსონალი ამ წესით.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა აღნიშნა, რომ იგი გაეცნო დოკუმენტაციას თუ როგორ ხდება აკადემიური პერსონალის არჩევა, რაც ზოგადი ჩანაწერია. იგი დაინტერესდა ამ დოკუმენტის გარდა დაწესებულებას ხომ არ აქვს განსაზღვრული სხვა კრიტერიუმები რითაც ის აფასებს აკადემიურ პერსონალს შესაბამის პოზიციაზე არჩევა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ყველა პროფესორი არის არჩეული აკადემიური ცოდნის მიხედვით და ყველა მათგანს აქვს შესაბამისი აკადემიური ხარისხი. რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რაზეც იყო საუბარი ეს არ ეხებოდა ამ კურსის ავტორს. მისი განმარტებით, ამ დარგში 90% არის სადოქტორო ხარისხის მქონე. ვინაიდან არ არის იმის ფუფუნება, რომ ამ მიმართულებით საქართველოში მიიღონ ხარისხი, მათი უმეტესობა საზღვარგარეთ მიღებული განათლების მქონე აკადემიური პერსონალია.

დაწესებულების ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელმა, ნინო ჟვანიამ აღნიშნა, რომ მათ ამ კითხვას შეიძლება უპასუხოს წმინდა ადმინისტრაციული კუთხით. როდესაც აკადემიური პერსონალის შერჩევა ხდება, განსაზღვრულია თუ რა კომპონენტებს შეასრულებს პროგრამაში, ამ შემთხვევაში იმ პერსონალის (რომელთან დაკავშირებითაც საუბარი იყო რეკომენდაციის ფარგლებში) გამოცდილება იყო რელიგიური კვლევების მიმართულებით და წლების განმავლობაში მისი ჩართულობა ამ მიმართულების სხვადასხვა პროექტებში, სწორედ ეს იყო შეფასებული მისი აკადემიურ პოზიციაზე შერჩევის პროცესში.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა პერსონალის შერჩევის პროცესში არსებობს თუ არა მინიმალური ზღვარი .

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ როდესაც ცხადდება კონკურსი ამ მიმართულებით კონკრეტული პოზიცია, უნივერსიტეტი უყურებს თუ რა გამოცდილება აქვს ამ

სფეროში კონკრეტულ ადამიანს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში პრიორიტეტი იყო გამოცდილება რელიგიის კვლევებისა და უშუალოდ რელიგიის წარმოების პროცესში. სწორედ ეს იყო პრიორიტეტი პერსონალის შერჩევისას. პერსონალის შერჩევა განხორციელდა საჯარო კონკურსის საფუძველზე, რომელიც ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე და გაზეთ რეზონანსში . რაც შეეხება არჩევის წესს, კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან პუბლიკაციებით. მას აქვს განათლება მიღებული ღვთისმეტყველების კუთხით სასულიერო სემინარიაში, ასევე არის ამ სფეროში რამდენიმე ჟურნალის რედაქტორი .

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა მინიმალური ზღვარი და სამთვიანი გამოცდილება იყო თუ არა ერთიდაიგივე.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნულ კითხვასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ვიდრე პერსონალი აკადემიურ პოზიციაზე შეირჩეოდა მას ჰქონდა გამოცდილება მოწვეული ლექტორის სტატუსით, შემდეგ ჰქონდა ერთ წლიანი კონტრაქტი, ხოლო კონკურსში გამარჯვების შემდეგ უნივერსიტეტმა მასთან გააფორმა ორწლიანი კონტრაქტი .

საბჭოს წევრი, მაკა კაჭარავა დაინტერესდა ხელმისაწვდომი თუ იყო აღნიშნული ინფორმაცია ექსპერტებისთვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ თავიდან გაგზავნილი დოკუმენტაცია ამ ყველაფერ არ ითვალისწინებდა, მათ უბრალოდ გააგზავნეს ის მონაცემები რაც იყო მოთხოვნილი. შემდეგ მათ მიიღეს წერილი დამატებითი დოკუმენტების წარდგენის შესახებ, რის შედეგადაც მოთხოვნილი ყველა დოკუმენტი წარედგინა ექსპერტებს.

ექსპერტთა ჯგუფის წევრი, ნინო პატარაია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეფასა ადმინისტრაციული კუთხითაც. მიუხედავად იმისა, რომ ის დარგის სპეციალისტი არ არის მხოლოდ ერთი პერსონალი იყო ვინც იცნო არსებულ პერსონალს შორის, რადგან მასთან ჰქონდა უშუალო შეხება ამიტომაც მის კომპეტენციაში ეჭვი არ შეჰპარვია. მაგრამ სწორედ იმიტომ გაიცა რეკომენდაცია, რომ ერთის მხრივ წარმოდგენილ იქნა დოკუმენტები, რომლებიც არეგულირებს წესს, მეორეს მხრივ მტკიცებულების სახით არ მიუღიათ პერსონალთან დაკავშირებით, თუ რამდენად იქნა ეს წესები დაცული და რამდენად ჩატარდა კონკურსი. ასევე, მტკიცებულება იმის შესახებ თუ რამდენად წესების დაცვით აირჩიეს და დაინიშნა აკადემიური პერსონალი პოზიციაზე. თავდაპირველად ექსპერტებმა მიიღეს მონაცემები, ყველა მათგანი შეისწავლეს და გამოიკვეთა ეს ერთი პერსონალი, რომელიც პირად საქმეშიც არ იყო წარმოდგენილი დიპლომი. ამასთან დაკავშირებით კი აღნიშნეს, რომ იგი არჩეული იყო პროფესიული ნიშნით, რის დადასტურებასაც ითხოვდნენ დოკუმენტებით, რაც არ იქნა წარმოდგენილი დაწესებულების მხრიდან და აქედან გამომდინარე რეკომენდაცია დარჩა უცვლელი .

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოთხოვნილი იყო დიპლომი, რაც მათ გაეგზავნათ.

ექსპერტმა განმარტა, რომ დიპლომი ნამდვილად იყო წარმოდგენილი, თუმცა როდესაც დაწესებულება ამბობ რომ ის პროფესიული ნიშნით არის შერჩეული და არა დიპლომით, მაშინ შესაბამისი მტკიცებულებაც უნდა იყოს წარმოდგენილი .

საბჭოს თავჯდომარემ განმარტა, რომ როდესაც პერსონალს პროფესიული ნიშნით იღებენ გარკვეულ პოზიციაზე დოქტორის დიპლომი არ არის საჭირო და პროფესიული გამოცდილება უფრო მნიშვნელოვანია, ეს ყველაფერი დამტკიცებული უნდა იყოს დოკუმენტაციით.

აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტმა დაამატა, რომ მითითებული არ იყო რომ პერსონალი არჩეული იყო პროფესიული ნიშნით, შესაბამისად მათ გამოითხოვეს დიპლომი და თუ პროფესიული ნიშნით იყო არჩეული, ამ შემთხვევაში შესაბამისი დოკუმენტაცია უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი.

აკრედიტაციისსაბჭოსმიერსაგანმანათლებლოპროგრამისშეფასებადაკენჭისყრა:

- აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „რელიგიის კვლევების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „რელიგიის კვლევების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება. მიჩნეულ იქნეს, რომ „რელიგიის კვლევების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

5. მეხუთე საკითხი: შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფსიქოლოგია (ინგლისურენოვანი)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	23.06.2021 N685470
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
8	კვალიფიკაციის დასახელება	ფსიქოლოგიის ბაკალავრი
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0313 ფსიქოლოგია
10	სწავლების ენა	ინგლისური
11	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240

12	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0102, ქ. თბილისი, პაატა სააკაძის ქ. 1 .

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

თვითაცილება განაცხადა გურანდა ჭელიძემ
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია
ექსპერტი ლილი ხეჩუაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ განსახილველი პროგრამის მიმართ გაცემული იყო სამი რეკომენდაცია და ორი რჩევა. დაწესებულების მიერ რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა პერსონალის გადანაწილებას და თანაფარდობას, გათვალისწინებული და შესრულებულია. აქვე განმარტა, რომ გარდა აღნიშნული რეკომენდაციისა დანარჩენი რეკომენდაციები და რჩევები გაითვალისწინა დაწესებულებამ.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წამომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია .
დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, დიანა მჭედიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. მან მადლობა გადაუხადა ექსპერტს განხორციელებული შეფასებისთვის და საჭიროების შემთხვევაში მზად იყო ეპასუხა კითხვებისათვის.

საბჭოს დავმჯდომარემ გამოაცხადა სათათბირო შესვენება .
დაწყების დრო : 15:52 სთ
დასრულების დრო : 15:54 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა : შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე წარმოდგენილი ანგარიშების ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

6. მეექვსე საკითხი: შპს კავკასიის უნივერსიტეტის ,,ეკონომიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკონომიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული 06.03.2020, №12
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ეკონომიკის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0311 - ეკონომიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, 0102, პაატა სააკაძის ქ. 1
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

7. მეშვიდე საკითხი: შპს კავკასიის უნივერსიტეტის ,,ეკონომიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკონომიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული 26.07.2016, №73
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ეკონომიკის მაგისტრი
10		-

	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0311 - ეკონომიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, 0102, პაატა სააკაძის ქ. 1
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

8. მერვე საკითხი: შპს კავკასიის უნივერსიტეტის ,,ეკონომიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკონომიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული 05.12.2018, №187
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ეკონომიკის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0311 - ეკონომიკა
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, 0102, პაატა სააკაძის ქ. 1
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

თვითაცილება განაცხადა ნინო ჭალაგანიძემ
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ეკა გეგეშიძე მიესალმა საბჭოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას. მან აღნიშნა, რომ სამივე საფეხურის ეკონომიკის პროგრამაზე მოხდა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობის დადგენა. აღნიშნული შეფასება განხორციელდა თვითშეფასებისა და თანდართული დოკუმენტების საფუძველზე, შესაბამისად ადგილზე ვიზიტი არ განხორციელებულა. ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამის სამივე საფეხურის პროგრამაში შეფასდა აკრედიტაციის 1-ლი , მე-2 და მე-4 სტანდარტები. მისი განმარტებით მხოლოდ 2.6 სტანდარტი შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა საბოლოო ჯამში ყველა სტანდარტი შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა ერთი რეკომენდაცია, რასთან დაკავშირებითაც დაწესებულებისგან მიიღეს პასუხი, რომ ეს იყო ტექნიკური ხარვეზი. ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულების მხრიდან საბაკალავრო ნაშრომის შეფასება ხდება მხოლოდ ფინალურ ეტაპზე, ერთჯერადად თუმცა ხელმძღვანელისა და კომისიის მიერ ცალ-ცალკე. საბაკალავრო ნაშრომი, არის სასწავლო-პრაქტიკული ხასიათის მისი საფეხურიდან გამომდინარე და არა სამეცნიერო ხასიათის და აქედან გამომდინარე გასცეს ექსპერტებმა რეკომენდაცია, რომ განხორციელდეს საბაკალავრო ნაშრომის არაერთჯერადად შეფასება, ამის შესაბამისად კი უნდა შეიცვალოს საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კომპონენტები. ასევე, ექსპერტთა ჯგუფს გაცემული აქვს რჩევა, რომ კარგი იქნება სავალდებულო არჩევით ბლოკში გამოიყოს სპეციალობის კურსებში მისაღები კრედიტების ოდენობა, რათა მათი რაოდენობა იყოს არანაკლებ 20 კრედიტისა, რომ არჩევით ბლოკში სპეციალობის მისაღები კრედიტების ოდენობა უფრო მკვეთრად იყოს გამოკვეთილი.
„ეკონომიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ შეფასების შედეგად პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. პროგრამასთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ რეკომენდაცია არ ყოფილა გაცემული. აღნიშნა, რომ მათ ჰქონდათ მხოლოდ ერთი რჩევა, რომ სასურველია პროგრამის ხელმძღვანელის მიერ გადაიხედოს პროგრამის მიზნები მათი ოპტიმიზაციის მიზნით.
„ეკონომიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ შეფასების შედეგად პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. პროგრამასთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა მხოლოდ ერთი რეკომენდაცია 2.3 სტანდარტთან, სადაც ექსპერტების აზრით მიზანშეწონილია დოქტორანტს დისერტაციის დაცვამდე მოეთხოვოს საერთაშირისო პუბლიკაციის გაკეთება კვლევით გამოცემებში. მიუხედავად იმისა, რომ კონფერენციაში მონაწილეობა სავალდებულოა და დოქტორანტი ინგლისურად აკეთებს სადოქტორო პროგრამას, საერთაშორისო პუბლიკაციის მოთხოვნა ამ მიმართულებით მკვეთრად არ არის დებულებაში გაწერილი. ექსპერტებს აქვთ ასევე რჩევა პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებით , სასურველია გადაიხედოს პროგრამის მიზნები, კონკრეტულად წარმოდგენილი მიზნებიდან მოხდეს მიზნის, „პროგრამა ორიენტირებულია მოამზადოს მკვლევარი მაკროეკონომიკის მიმართულებით და ამასთანავე პროგრამის მიზანია კურსდამთავრებული ფლობდეს სრულფასოვან ცოდნას მიკროეკონომიკის დარგში“, მოდიფიცირება რადგან შედეგებში არ არის გამიჯნული მაკრო და მიკრო ეკონომიკის პროცესები აქედან კი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მაკროეკონომიკის მკვლევარის მომზადება ხდება თუმცა მან მიკრო ანალიზიც იცის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა დიანა მჭედლიშვილმა საბაკალავრო ნაშრომთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციაზე აღნიშნა, რომ მათ არგუმენტირებულ პასუხში მტკიცებულებად წარადგინეს საბაკალავრო ნაშრომის სწორი სილაბუსი. წლების განმავლობაში, რაც მინისტის მე-3 ბრძანებაში შევიდა ცვლილება, შესაბამისად მოხდა საბაკალავრო ნაშრომის შეფასების შესაბამისობაში მოყვანა, აღნიშნულთან დაკავშირებით არსებობს კომისიის ოქმებიც. მან ასევე აღნიშნა, რომ ეს იყო ტექნიკური ხარვეზი, რომელიც ნახეს, გაასწორეს და შესწორებული ვერსია გამოაგზავნეს. ეს შეეხებოდა საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებულ რეკომენდაციას.

დეკანი მესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და საბჭოს კოლეგიალური და საქმიანი შეფასებისთვის. მან ისაუბრა საბაკალავრო პროგრამის მიმართ გაცემულ რჩევაზე და აღნიშნა, რომ საკმაოდ ბევრი ეკონომიკური საგანი აქვთ და შესაძლებელია მისი ხაზგასმა. სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით აღნიშნა, რომ რეკომენდაცია არ ყოფილა გაცემული, ექსპერტების რჩევას კი იზიარებენ. რაც შეეხება სადოქტორო პროგრამას აღნიშნა, რომ მათ არ აქვთ მოთხოვნა დისერტაციის დაცვამდე პუბლიკაციის წარდგენის. მაგრამ აქვთ მოთხოვნა საერთაშორისო კონფერენციებში, კვლევით პროექტებში და ა.შ. მონაწილეობის. ასევე, აღნიშნა რომ ეს პროგრამა აკრედიტებული იყო 2018 წელს, მათი იდეა იყო რომ გაიზიარეს დასავლური ანგლო ამერიკული უნივერსიტეტების გამოცდილება, სადაც არ ითხოვენ პუბლიკაციას ნაშრომის დაცვამდე. დისერტაციის დაცვის შემდეგ დაწესებულების აკადემიური სადისერტაციო საბჭო დოქტორანტს აძლევს ლეგიტიმაციას, რომ გამოაქვეყნოს სადისერტაციო ნაშრომი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მარიამ ხარაიშვილმა აღნიშნა, პუბლიკაციის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ეს პროგრამა დაახლოებულია დასავლურ პროგრამებთან და ზუსტად იგივე პრინციპით არის აგებული სილაბუსიც და მოთხოვნა პუბლიკაციასთან დაკავშირებით. ასევე პროგრამის ბაზრის კვლევის ჩატარების დროს ნახეს და სავარაუდოდ ეს დღესაც სიმართლეს წარმოადგენს, რომ იმ შეთხვევაში როდესაც პუბლიკაციის მოთხოვნა ცალსახაა პროგრამის ფარგლებში სტუდენტი ჩქარობს პუბლიკაციის გამოქვეყნებას, იმ გაგებით რომ დისერტაციის დაწერიდან პუბლიკაციის დაწერამდე დრო სჭირდება, რას აიძულებს მას შეამოკლოს თემა ან გაამარტივოს და ეს არ უშლის ხელს იმას, რომ საერთაშორისო ჟურნალში გამოსცეს ნაშრომი. ხოლო, მაშინ როდესაც აქვს მთელი დარჩენილი პერიოდი რომ კვლევას დაუთმოს, უფრო სიღრმისეულ კვლევას ატარებს. ხოლო რაც შეება თუ რატომ შეიძლება საერთაშორისო კონფერენცია დიდ როლს თამაშობდეს, აქ დოქტორანტებს საშუალება აქვთ თემა დამუშავების პროცესში გაიტანონ. სწორედ ამ მოტივებით იყო ის რომ პუბლიკაცია აუცილებელ მოთხოვნებში არ იყო წარმოდგენილი. რაც შეეხება საკითხს მაკრო და მიკრო ეკონომიკასთან მიმართებაში, რა საკვირველია ამის გათვალისწინებაც შეიძლება. პროგრამა სპეციალიზაციას აკეთებს მაკროს მიმართულებით თუმცა ამ პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია ნებისმიერი სამეცნიერო ნაშრომის გარჩევა ანუ უზრუნველყოფილია იმ ცოდნით, რომელიც ეკონომიკის დოქტორს უნდა ჰქონდეს .

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულების წამომადგენლების განმარტებით პუბლიკაციების გამოქვეყნება დოქტორანტურის სწავლების პროცესში არ არის საჭირო და ის ხელს უშლის დოქტორანტს დისერტაციის წერის პროცესში.

აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა დიანა მჭედლიშვილმა უპასუხა, რომ როცა დოქტორანტი დაიწყებს მუშაობას სამეცნიერო სტატიაზე, მას მაღალრეიტინგულ ჟურნალში გამოქვეყნებისთვის სჭირდება დრო და ეს შესაძლოა მოითხოვდეს იმაზე მეტ დროს ვიდრე დისერტაციის დაცვის პროცესისათვის არის საჭირო. აქ საუბარისა ხარისხიანი ნაშრომების გამოქვეყნების დროის ხანგრძლივობაზე. თუმცა ბუნებრივია ნაშრომი სავალდებულოა იმისათვის, რომ დოქტორანტს ხარისხი მიენიჭოს. დაწესებულების წარმომადგენელმა, მარიამ ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ეს იყო საერთაშორისო პრაქტიკიდან წამოსული გამოცდილება, რომელიც მათ პროგრამის შემუშავებამდე შეისწავლეს .

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტს მიმართა კითხვით, რამდენად რთულია ეკონომიკის მიმართულებით პუბლიკაციის გამოქვეყნება მაღალრეიტინგულ ჟურნალში .
ექსპერტმა აღნიშნა, რომ ზოგადად მაღალრეიტინგულ ჟურნალში პუბლიკაციის გამოქვეყნება რთულია, იმ მხრივ რომ ზოგჯერ წევრობასაც მოითხოვენ რამდენიმე წლიანს. თუმცა არ არის აუცილებელი დოქტორანტს მოსთხოვონ მაღალრეიტინგულ ჟურნალში პუბლიკაციის გამოქვეყნება და საკმარისია მისცენ სხვაგან გამოქვეყნების უფლება, სადაც ეს უფრო მარტივია და მინიმალური დონე მოთხოვონ ერთ პუბლიკაციაში. ამით ასევე დგინდება რამდენად შეუძლია სამეცნიერო სტატიის მომზადება.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ამ პროგრამამ მიიღო აკრედიტაცია 2018 წელს ამ მოთხოვნის საფუძველზე. შემდგომ, როდესაც პროგრამას მოუწევს აკრედიტაცია შეიძლება ამ ყველაფერს სხვანაირად შეხედონ, დააკვირდნენ დაცვის პროცესებს რაც არც თუ ისე ხშირია ამ პროგრამაზე და სხვა კუთხით შეხედონ ამ ყველაფერს. ამ ეტაპზე მათ ცვლილება არ განახორციელეს, რადგან პროგრამა ასე იყო აკრედიტებული.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო 16:14 სთ
დასრულების დრო : 16:18 სთ

მეექვსე საკითხის გადაწყვეტილება
აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

- აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება. მიჩნეულ იქნეს, რომ შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

მეშვიდე საკითხის გადაწყვეტილება
აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

- აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება. მიჩნეულ იქნეს, რომ შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

მერვე საკითხის გადაწყვეტილება
აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

- აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება. მიჩნეულ იქნეს, რომ შპს კავკასიის უნივერსიტეტის

„ეკონომიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

9. მეცხრე საკითხი : სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ელექტრული ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ელექტრული ინჟინერია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	No714437, 1.07.2021
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
8	კვალიფიკაციის დასახელება	ბაკალავრი ელექტრულ და ელექტრონულ ინჟინერიაში
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0719 ინჟინერია და საინჟინრო საქმე-არაკლასიფიცირებული
10	სწავლების ენა	ქართული
11	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
12	განხორციელების ადგილი	ხალგაზდობის გამზ. No98, ქუთაისი, 4600, საქართველო. ასწავლო კორპუსიNo7, No8

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრების თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარეს სთოვა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია .
ექსპერტმა შალვა კვირკველიან აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ფარგლებში „ელექტრული ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით გაიცა ოთხი რეკომენდაცია. მათგან ერთი ეხებოდა ლაბორატორიული ბაზების მოწესრიგებას, ასევე რეკომენდაცია ეხებოდა სწავლის შედეგების თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობას, კომპეტენციას და სილაბუსის სწავლის შედეგებთან კავშირს. საბჭოს გადაწყვეტილებით დაწესებულებას დაევალა უნივერსიტეტს მოემზადებინა ანგარიში ერთი წლის განმავლობაში, წარმოდგენილი ანგარიში კი შემდეგ მიაწოდეს ექსპერტს. ექსპერტის

განმარტებით დაწესებულების მიერ გულდასმით არის შესწავლილი და გათვალისწინებული ოთხივე რეკომენდაცია. კერძოდ, მოწოდებული მასალების საფუძველზე მოწესრიგებულია ის ბაზები, რომლებიც არის სამედიცინო ინჟინერიის და სპეციალური მოწყობილობების მიმართულებით. ასევე, გათვალისწინებული და შესრულებულია თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობა. ასევე, სწავლის კომპეტენციის შესახებ გაცემული რეკომენდაცია გათვალისწინებული და შესრულებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო : 16:23 სთ
დასრულების დრო : 16:25 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ელექტრული ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე წარმოდგენილი ანგარიშების ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ელექტრული ინჟინერიის“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

10. მეათე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საზღვაო მეცნიერები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	No680099, 06.07.2021
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	კვალიფიკაციის დონე	მე - 7
8	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მედიცინა - 0912
10	სწავლების ენა	ინგლისური
11	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	360
12	განხორციელების ადგილი	

		ქუთაისი, 4600, საქართველო. აწსუ სასწავლო კორპუსი No 11.ახალგაზდობის გამზ. No98,

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრების თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტი, თამარ გოდერიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. მან აღნიშნა, რომ წარადგენს სსიპ - აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის ანგარიშის, რომელიც შეესაბამება საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებას. პროგრამის მიმართ გაცემული იყო ხუთი რეკომენდაცია.
პირველი რეკომენდაცია ეხებოდა ლიტერატურის განახლებას, რის შედეგადაც 2011-2015 წლის ლიტერატურა სრულად არის განახლებული, რაც დასტურდება დოკუმენტალურად და იგი სრულად შესაბამისობაშია.
მეორე რეკომენდაცია ეხებოდა სტუდენტების მაქსიმალურს ჩართულობას და გაფართოებას იმ მოცულობითი პროცესების, რომლებიც უშუალოდ დანერგილია კლინიკურ ბაზებზე. ასევე ამ სტუდენტების ჩართულობას რეალური პაციენტების ტიპიურ მკურნალობის სქემებში. აქ შეიტანეს გარკვეულო შესწორებები, იმ ქეისებზე დაყრდნობით, რომელიც მათ პროექტის საფუძველზე მიიღეს. ასევე გადმოიტანეს ის დაგროვილი გამოცდილება, რომელიც ქართულენოვან პროგრამის განხორციელების დროს შეიძინეს. ქეისები არის განახლებული, არის მიღებული უცხოელი ექსპერტებისგანაც და მნიშვნელოვანია ის, რომ PBL კვირეულად არის გაწერილი მოდულების უმეტესობაში. ეს ყველაფერი ხორციელდება, როგორც კლინიკური უნარების ლაბორატორიების ბაზაზე ასევე, თავად კლინიკების ბაზებზე. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მე-6 კურსელებისთვის გამოყოფილია შეცდომებზე დაფუძნებული სწავლების პრაქტიკა.
რაც შეეხება მესამე რეკომენდაციას, ექსპერტმა აღნიშნა, რომ იგი გულისხმობდა სტუდენტების მაქსიმალურ ინტეგრირებას, როგორც ადგილობრივ ასევე სხვადასხვა საერთაშორისო დონეზე და დაწესებულების მიერ აღნიშნული განხორცილებულია.
მეოთხე რეკომენდაციაში ძირითადი აქცენტირება გაკეთებული იყო სტუდენტების გაცვლით პროგრამებზე, რაც განხორციელდა. უნივერსიტეტმა შექმნა სპეციალური პორტალი, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს მიიღონ ინფორმაცია, როგორც გაცვლით პროგრამებზე ასევე მობილობასთან დაკავშირებით. ასევე, შიდა ელექტრონული ფოსტით გაზიარებასაც აქვს ადგილი და ეს მიმართულებაც განვითარდა.
მეხუთე რეკომენდაციასთან მიმართებით აღნიშნა, რომ ძირითადად წარმოდგენილი იყო უკვე კურსდამთავრებული სტუდენტებისათვის მხარდაჭერით და აქაც გარკვეული ქსელი გაკეთდა, სადაც ჩართულნი არიან კურსდამთავრებულები, რომლებიც მხარდაჭერას იღებენ სასწავლო ცენტრის ფსიქოლოგებისგანაც, მათ შორის არის ომბუცმენი, რაც არის სიახლე, რომელიც უნივერსიტეტმა რეკომენდაციების შესრულების დროს განახორციელა.
საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია .
დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ გარე შეფასება ყოველთვის ნაყოფიერი და მნიშვნელოვანია თითოეული პროგრამის განხორცილებისათვის, განსაკუთრებით როდესაც საუბარია მედიცინის ერთსაფეხურიან

პროგრამებზე. მათი აზრით ექსპერტების მიერ გაცემულმა რეკომენდაციებმა დღემდე არსებული პრაქტიკის განხორციელებაზე უბიძგა დაწესებულებას და იდეაც მიაწოდა. აღნიშნა რომ, როგროც ექსპერტს უამრავი პროგრამის შეფასებაში მიუღია მონაწილეობა და იშვიათად შეხვედრია პრაქტიკა იმისა, რომ უცხოელი კურსდამთავრებულები საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები აქტიურად იყვნენ ჩართულები თვითონ პროგრამის შეფასებაში და დაწესებულება ჩართული იყოს მათი კარიერული განვითარების მიმართულებით სხვადასხვა ღონისძიებებში. ასევე დაამატა, რომ რეკომენდაციის შესრულების შედეგად მადლიერები არიან ვინაიდან გააკეთეს პორტალი კურსდამთავრებულებისათვის, რის შედეგადაც მათთან კომუნიკაცია რეალური გახდა . მათთან თანამშრომლობით იკვლევენ თუ რომელი უნარის, კომპეტენციის მიმართულებით ესაჭიროებათ გაუმჯობესება. ბოლო ერთი წლის განმავლობაში, ვინაიდან ისინი სხვადასხვა კონტინენტზე არიან უმრავლესობა ნიგერიის, ერაყის, ინდოეთის მოქალაქეები არიან დისტანციურ რეჟიმში მხარდაჭერის ნიშნად უტარებენ სხვადასხვა ტიპის შეხვედრებს, ლექციებს და ამ მიმართულებით ჩართული იყო არა მხოლოდ აკადემიური პერსონალი, არამედ დაწესებულებამ მოიწვია საერთაშორისო ექსპერტები.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო 16:34 სთ
დასრულების დრო 16:39 სთ
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამებზე წარმოდგენილი ანგარიშების ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე -14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიან პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 17:30 სთ-ზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით